ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2612683

ნომერი: AR1405778

თარიღი : 18.05.2016

გაცემის თარიღი : 24.05.2016

გაცნობის თარიღი : 03.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , N 57 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომეო სარია პ/ნ 51001000417
- თბილისი წყალტუბოს ქ. N 3 ბ. 3

ორგანიზაცია:

- შპს"სამშენებლო ინვესტიციები" კოდი: 405089309

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 მაისის №2578623 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 18 მაისის №AR1405778 განცხადებით მომართა რომეო სარიამ და ამავე სამსახურის 2016 წლის 04 მაისის №2578623 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 04 მაისის №2578623 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ცაგარელის ქუჩა №57-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.14.016.008) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებელის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 04 მაისის №2578623 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში შეცდომითაა დაფიქსირებული საერთო ფართი, საცხოვრებელი ფართი და საზაფხულო ფართი.
წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 2016 წლის 04 მაისის №2578623 ბრძანებაში აღნიშნული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები დაფიქსირდეს შემდეგნაირად: საერთო ფართობი (კვ.მ).:2730.4, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1855.2, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 382.4.
სამსახურმა 2016 წლის 04 მაისის №2578623 ბრძანებით შეთანხმებული არიქტექტურული პროექტის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლია და წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ პროექტს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 04 მაისის №2578623 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:2730.4, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1855.2, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 382.4. სამსახურის 2015 წლის 2016 წლის 04 მაისის №2578623 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 04 მაისის №2578623 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.